№ 284 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მეორე

ფასი 1 მან. სამშაბათი, 16 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი 50 № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიმრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

კანტორიდან

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის.

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

სამშაბათს, დეკემბრის 16 ს

აბესალომი და ეთერი

ოთხშაბათს, დეკემბრის 17-ს ნინო კოშიცის მონაწილეობით რუსულ ენაზე „დემონი". ხუთშაბათს, დეკემბრის 18-ს მეორეთ ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". პარასკევს დეკემბრის 19 „ტოსკა." 240

ქალაქის გამგეობა ტფილისიდან

დეკრეტის ძალით გადასახლებულთა საყურადღებოთ

აცხადებს, რომ, თანახმათ რესპუბლიკის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს 3 დეკემბრის № 8587 განკარგულებისა, გადასახლებულთ ნება ეძლევათ გაიტანონ რესპუბლიკის საზღვრებიდან თითო ოჯახზე ერთი ნოხი. ამის შესახებ მოწმობებს იძლევიან უბნის საკანტროლო კომისიები, რომლებსაც დროზე უნდა მიმართონ დაინტერესებულმა პირებმა 235 3—3

საჯარო ვაჭრობა

25 დეკემბერს ნატანების სამაჟოს მიერ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სად. ნატანებში: ნოხები, ძაფები, პაპიროსები, ფართლეულობა, ტყავეულობა, ლიმონის სიმჟავე, ბაწრები, შაქარი, კონიაკები და სხვ. საჯარო ვაჭრობა დაწყება დილის 10 საათზე 232 5—3

ოფიციალური განყოფილება.

დანართი 1 მე-2 მუხლისა.

ხელფასის ტარიფი.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

სოხუმის ოლქის იგუმენოვის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. სამეურნეო ნაწილის გამგე . . . 1000
2. სარძევე ფერმის „ . . . 640
3. საწყობების „ . . . 640
4. კანტორის მოხელე—მოანგარიშე . . . 640
5. მემანქანე . . . 640
6. მზარეული . . . 640
7. დურგალი . . . 550
8. მებაღე . . . 960
9. სახლის მბურავი . . . 560
10. მწონავი . . . 480
11. რძის გადამზიდავი . . . 400
12. უფროსი ბაღის მუშა . . . 440
13. უფროსი რძის ფერმის მუშა . . . 480
14. მუშა . . . 400
15. მწყემსი . . . 400
16. მწყემსის უფროსი . . . 200
17. მწველავი . . . 320
18. მეჯინიბე . . . 560
19. მცირეწლოვანი მუშა . . . 240
20. ცხენოსანი დარაჯი . . . 1100

ხელფასის ტარიფი.

სოხუმის ოლქის მამულის „დიოსკურია"-ს მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. მებაღე . . . 1200
2. მებაღის თანაშემწე . . . 1100
3. მუშა . . . 1100

ხელფასის ტარიფი.

მუკუზანის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. კანტორის მოხელე . . . 1650
2. მწერალი . . . 1200
3. მაგაზინერი-ნოჭარი . . . 1500
4. მემანქანე . . . 1500
5. მჭედელი . . . 1400
6. დურგალი . . . 1400
7. მჭედელი-მეჩაქუჩე . . . 1150
8. ცეცხლის შემკეთებელი-გამთბობი . . 1250
9. მეკასრე . . . 1500
10. ფერშალი . . . 1500
11. ქონენოსის მოსამსახურე . . . 750
12. მეეტლე . . . 1200
13. მეჯინიბე . . . 1100
14. მეურმე . . . 1100
15. მევენახე-მეღვინე . . . 2000
16. მეღვინეს თანაშემწე . . . 1500
17. უფროსი მარნის მუშა . . . 1250
18. ორი მარნის მუშა . . . 1200
19. ორი უფროსი ვენახის მუშა . . . 1150
20. ვენახის მბვნელი მუშა . . . 1100
21. ვენახის მუშა . . . 1000
22. ღამის დარაჯი . . . 1000
23. მწყემსი . . . 1000
24. ტყის მცველი . . . 1000
25. გზირი-დარაჯი . . . 100
26. მეეზოვე . . . 1000

ხელფასის ტარიფი.

ყოფილი არამიანცის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. მუდმივი მუშა . . . 1100
2. მუდმივი დარაჯი . . . 1000
3. დროებითი დარაჯი . . . 1000
4. მევენახე-მეხილე . . . 1500
5. მეწისქვილე . . . 1300
6. მუდმივი მუშა . . . 1100
7. მუდმივი ბაღის დარაჯი . . . 1100
8. კანტორაში მოსამსახურე . . . 1650
9. მანქანით გადამწერი . . . 1200
10. მწერალი . . . 1200
11. ფერშალი . . . 1500
12. უფროსი ცხენოსანი დარაჯი . . . 1300
13. ცხენოსანი დარაჯი . . . 1100
14. კანტორის დარაჯი . . . 1100
15. ჯუვარი . . . 900
16. მებაღე-მევენახე . . . 1500
17. მინდვრის უფროსი მეთვალყურე . . 1200
18. გამგის თანაშემწე . . . 2000

ხელფასის ტარიფი.

წინანდლის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. უმცროსი მეღვინე . . . 1750
2. უფროსი მემარნე . . . 1300
3. უფროსი მარნის მუშა . . . 1200 1100
4. მარნის მუშა . . . 1000
5. უფროსი მევენახე . . . 2000
6. მევენახე . . . 1750
7. მევენახეს თანაშემწე . . . 1500
8. უფროსი ვენახის ბუშა მუშაობის გამანაწილებელი . . . 1200
9. უფროსი ვენახის ბუშა საწყობის გამგე. 1120
10. ორი უფროსი ვენახის მუშა . . . 1150
11. ვენახის ბუშა-მბვნელი . . . 1100
12. ვენახის მუშა . . . 1000
13. უფროსი მეკასრე . . . 1500
14. მეკასრე . . . 1400
15. მამულის კანტორის მოხელე . . . 1650
16. მარნის კანტორის მოხელე . . . 1350
17. მოლარე . . . 1500
18. მწერალი . . . 1200
19. გზირი დარაჯი . . . 1000
20. სასახლის დარაჯი . . . 1000
21. სასახლის დარაჯი საკასრეში . . . 1000
22. სასახლის დარაჯი ღამისა . . . 1000
23. მეეზოვე . . . 1000
24. მილიციონერი დარაჯი . . . 1100
25. უფროსი მეეტლე . . . 1200
26. მეეტლე . . . 1100
27. მეჯინიბე . . . 1100
28. მეურმე . . . 1100
29. მებაღე . . . 1500
30. ბაღის მუშა . . . 1000
3. ტყის მცველი . . . 1000
32. კარმიდამოს მოსამსახურე . . . 1000
33. ფერშალი . . . 1500
34. საავადმყოფოს მოსამსახურე . . . 1000
35. მზარეული ქალი ავადმყოფის მომვლელი ქალი . . . 1000
36. მწყემსი . . . 1000
37. სამეურნეო ნაწილის გამგე . . . 1500
38. მაგაზინერი . . . 1400
39. მემანქანე ზეინკალი . . . 1500
40. დურგალი . . . 1400
41. ცეცხლის შემკეთებელი . . . 1100
42. მჭედელი . . . 1400
43. მღებავი . . . 1300
44. ჩაეუჩის დამრტყმელი . . . 1250
45. ცეცხლის შემკეთებელი მემანქანეს თანაშემწე . . . 1350
46. სახელოსნოს მოწაფე . . . 500 600
47. მზარეული . . . 1000

ხელფასის ტარიფი.

ყოფილი ძმ. მანთაშოვის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. მუდმივი მუშა-ვენახე . . . 1100
2. დროებითი ვენახის დარაჯი . . . 1000
3. მებაღე . . . 1200
4. მებაღე-მევენახე . . . 1500
5. მუდმივი მუშა ბაღში . . . 1000
6. ხილის ბაღის დროებითი დარაჯი . 1000
7. მუდმივი დარაჯი . . . 1000
8. კანტორის მოსამსახურე . . . 1650
9. მანქანით გადამწერი . . . 1200
10. მწერალი . . . 1200
11. მწერალი-მაგაზინერი . . . 1400
12. ფერშალი . . . 1500
13. უფროსი ცხენოსანი დარაჯი . . . 1300
14. უფროსი მინდვრის მეთვალყურე . . 1200
15. უფროსი ცხენოსანი დარაჯი . . . 1100
16. შენობების დარაჯი . . . 1000
17. მეჯინიბე . . . 1100
18. მემანქანე მონტიორი . . . 1500
19. გამგის თანაშემწე . . . 2000

ხელფასის ტარიფი.

სოხუმის ოლქის მამულის „სინოპი"-ს მოსამსახურეებისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

1. კანტორის მოსამსახურე . . . 1650
2. მებაღე . . . 1200
3. მუშა . . . 1200

1919 წ. დეკემბრის 2.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის აბხაზი ხ. მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

6 დეკემბრის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნ. ჟორდანია; მინისტრები—ბ ნნი რამიშვილი, კანდელაკი, გეგეჭკორი, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორი—ბ ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ ნნი ჭოჭინაძე, ცინცაძე, გელეიშვილი, ავალიანი, გედევანიშვილი, ბახტაძე; ჭავჭანიძე, ქარცივაძე; გზათა დეპარტამენტის დირექტორი—ბ-ნი ჭიჭინაძე, იუსტიციის დეპარტ. დირექ. თანამდ. ალმას.—ჟორდანია; საჭმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. დიდებულიძე.

სახელმწიფო ტყეების, სათევზაოების და მიწების შემოსავლის 7% ის ერობათათვის გადაცემის შესახებ.

სახელმწიფო ტყეების, სათევზაოების და მიწების საერთო შემოსავლიდან ერობათა სასარგებლოთ 7% ის გადადების საკითხი გადაეცეს განსახილველათ კომისიას, შემდგარს მიწათ-მოქმედების, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის და სახელმწიფო კონტროლის უწყებათა წარმომადგენელთაგან.

ქ. შ. წ. ქ. გ. ს. მაღაზიის სახელმწიფო ღერბით შემკობა.

დაამაყოფილებულ იქნას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების შუამდგომლობა—საზოგადოების წიგნის მაღაზიის სახელმწიფო ღერბით შემკობის უფლების მინიჭების შესახებ.

რკინის გზის საგენერალ-გუბერნატორის არსებობის ვადის გაგრძელება.

რკინის-გზის საგენერალ გუბერნატორის არსებობა განგრძობილ იქნას ერთი თვის ვადით. ამ მიზნისთვის საჭირო თანხა გამოთხოვილ იქნას საოთანადო უწყების მიერ შესაფერ დეკრეტის წარდგენით დამფუძნებელ კრებაში.

გზატკეცილების სამმართველოს მოსამსახურეთათვის დამატებითი ჯამაგირები.

მოხსენება გზატკეცილების სამმართველოს მოსამსახურეთა დამატებითი ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ საოთანადო თანხის გაღების შესახებ მიღებულ იქნას და დაევალოს გზათა დეპარტამენტს წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

საქონლის შესაძენ თანხის გადარიცხვა.

დამფუძნებელ კრების მიერ ა. წ. 3 დეკემბრის დეკრეტით, მთავრობის განკარგულებაში გადადებული თანხა 130,000,000 მან. მატყლის, აბრეშუმის, თამბაქოს და სხვაგვარ უცხოეთში გასატან ნედლ მასალის შესაძენათ გადაირიცხოს მომარაგების სამინისტროს მიმდინარე ანგარიშზე ტფილისის ხაზინაში.

მისალმება.

მთავრობის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა ზესტაფონიდან: ზესტაფონში შეგროვილი მრავალ რიცხოვანი მიტინგი 12 დეკემბრის აღსანიშნავად აღფრთოვანებით ესალმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას, მის მთავრობას და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და უსურვებს მათ კვლავინდებურათ მტკიცეთ დგომას ძველ ნაცად პოზიციაზე საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოდ. ჩვენი მხრით ფიცსა ვსდებთ ყველა, როგორც ერთი კაცი გვერდში ამოუდგებით შეიარაღებულ დემოკრატიას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების განსამტკიცებლად.

მიტინგის თავმჯდომარე **შენგელია.**

საგარეო საქმეთა სამინისტროში.

პოლკ. რეი საგარეო საქმეთა მინისტრთან.

საზავო კონფერენციის ამიერ კავკასიის უმაღლეს კომისარის მოადგილემ პოლკ. რეიმ

საზღვარ გარეთ გამგზავრების წინ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი და ხანგრძლივ ესაუბრა მას.

გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა მშობლების საყურადღებოდ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება სთხოვს ბ. ბ. ხუნდაძეს ასათიანს, შაიშმელაშვილს, ვარაზაშვილს, გველესიანს, მუსხელიშვილს და ქობალავას, რომელთა შვილები გერმანიაში სწავლობენ, შემოიარონ საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებაში, ერმოლოვის ქ. № 9 (დილის 10 დან 2 საათამდე).

გზათა სამინისტროში.

დაწმენდილ ნავთის გადაზიდვის შესახებ.

გზათა დეპარტამენტის განკარგულებით საქართველოს რკინის გზების ქსელზედ აკრძალულია ცისტერნებით პირდაპირი ზიდვა კეროსინისა. უკანასკნელი ნავთსადენის საშუალებით უნდა იგზავნებოდეს. ცისტერნებს მიაწოდებენ მხოლოდ ნავთსადენის უახლოეს ხადგურიდან დანიშნულ სადგურამდე გადასაგზავნად.

ეს განკარგულება შეთანხმებულია აზერბეიჯანის გზათა სამინისტროსთან და სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის და მოქალაქეთათვის, რომელნიც აქნობამდი კეროსინს ბაქოდან ცისტერნებით ეზიდებოდენ.

იუსტიციის სამინისტროში.

მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ სახელმწიფო ენის ხმარებისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ განუმარტა ტფილისის მაზრის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს, რომ კანონის ძალით ყველა მომრიგებელი მოსამართლენი უკლებლივ და აუცილებლივ სახელმწიფო ენაზე უნდა აწარმოებდენ საქმეებს. ამასთანავე, რადგან სამინისტროს ცნობით, ქ. ტფილისის ზოგიერთი მოსამართლენი საქმეს არა სახელმწიფო ენაზე აწარმოებენ, სამინისტრომ შესაფერი შეკითხვა გაუგზავნა ქ. ტფილისის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს.

ხაშურის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობიდან გადადგომა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ქ. ტფილისში პირად განმარტების წარმოსადგენად დაბარებულმა ხაშურის მომრიგებელმა მოსამართლემ სხირტლაძემ, რომელსაც ბრალად ედება დაუდევრობა, განმარტების შემდეგ წარედგინა სამინისტროს თხოვნა სამსახურიდან განთავისუფლებისა.

მეფის ბიუსტის მოხსნა.

იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა ტფილისის სასამართლო უწყების შენობაში მოთავსებული ბიუსტი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა მოხსნილ და გადატანილ იქნას მუზეუმში.

„ზერცალოების“ გატანა სასამართლოს დარბაზიდან.

იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, ყველა სასამართლოს დარბაზიდან გატანილ უნდა იქნას ძველის ფორმის „ზერცალოები“.

სასამართლოს გარეგან გაეროვნებისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სასამართლო დაწესებულებას, რათა 1920 წ. იანვრის 1-მდე ძველი წარწერები ყველგან გადაკეთებულ იქნას სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე შეძენილ იქნას სათანადო დაფა-წარწერები („ვივესკები).

ბრძოლა „ბალკონის“ ადვოკატებთან.

რადგან იუსტიციის სამინისტროს მიღებულ ცნობებით, ეგრედ წოდებულ „ბალკონის ადვოკატების“ საქმიანობა ფრიად გახშირებულია ტფილისის სამომრიგებლო უბნებში, სამინისტრომ განკარგულება გასცა სათანადო გამოძიების მოსახდენათ და იმ პირთა ვინაობის გამოსარკვევად, ვისაც კანონით უფლება არა აქვს სასამართლოში ვექილობისა და ამ უფლებით კი სარგებლობს. კვლევა-ძიება დაევალა სამინისტროს მოხელეს ვ. მ. მამულაიშვილს.

დამფუძნებელი კრება

13 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტისა: 1) გზათა დეპარტამენტისათვის 88,425 მან. კრედიტის გახსნისა მთავარ საავტომობილო სახელოსნოს გასაფართოებლად ხარჯების დასაფარავად; 2) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააგრონომიო განყოფილების გახსნისა; 3) რკინის გზის დეპარტამენტისათვის 52,284,200 მან. დამატებითი კრედიტის გახსნის შესახებ 1918 წ. ზენახარჯის დასაფარავად; 4) მაზრის მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გაღების შესახებ; 5) ქალაქთა მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გაღების შესახებ; 6) სამხედრო სამინისტროს ვალების დასაფარავად 4 მილიონი მან. გაღების შესახებ; 7) სამუსულმანო საქართველოს, აფხაზეთის და სხვა განაპირა კუთხეთა ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების დასანიშნავად 200,000 მან. გადადების შესახებ; 8) იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 86,867 მან. გადადების შესახებ იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებათა 1918 წ. ვალების გადასახდელად; 9) დამფუძნებელ კრების კანცელარიის შტატის დამატების დამტკიცების შესახებ, მიღებულ იქნა აგრეთვე საბოლოო ტექსტი შემდეგი კანონებისა: 1) აწ მომქმედ თამასუქების წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის კანონისა; 2) ნავთსადგურებში გადასახადთა ახალი ნიხრის დაწესებისა და 3) კანონისა მუშათა დამზღვევ კანონის მე-65 მუხლის შეცვლის შესახებ.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ხაზინიდან 6,500,000 მან. გადადებისა ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელისათვის საჭირო მასალების და აპარატების შესაძენად.

გრ. ურატაძის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულება და კანონ პროექტი.

ექ. თაყაიშვილის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ პროექტი ბეჭდვითი წარმოების მთავრობისადმი წარდგენის შესახებ.

ვ. ჯუღელიხ, ზ. გურულის და **ი. სალაყაიას** მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შესახებ. (დახურულ კარებში).

ი. სალაყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის ადმინისტრაციის საგზაო ფულით დასაკმაყოფილებლათ 1919 წ. აგვისტოს 1-დან ნოემბრის 1 დე ყოველთვიურათ 14,766 მან. გაღების შესახებ. დასასრულ ფარული კენჭის ყრით მოხდა თავისუფალ თანამდებობაზე სენატორის არჩევა. არჩეულ იქნა გ. ხარაზაშვილი. მიიღო 42 თეთრი, 4 შავი და 4-მა თავი შეიკავა.

დამფუძნ. კრების კომისიებში

მსახიობ ნინო ჩხეიძის იუბილეს გამო.

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა მიესალმოს მსახიობ ნინო ჩხეიძეს მის იუბილეზე.

ბინის ფასების კანონ-პროექტი.

დამფუძნებელ კრების თვითმართველობის და მმართველობის კომისიამ მოიწონა და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს გადასცა ბინებზე ფასების დაწესების კანონ-პროექტი.

ქალაქის თვითმართველობაში.

მილიციის უფროსის განცხადება.

ქალაქის მილიციის უფროსმა ვ. სულაქველიძემ მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისდამი საყვედურის გამოცხადების გამო სამსახურიდან გადადგომის განცხადება მიართვა ქალაქის მოურავს. სულაქველიძე არ სცნობს თავისთავს პასუხისმგებლათ აღლუმის დროს წესრიგის დაუცველობისათვის, რადგანაც ეს გვარდიის შტაბის მიერ მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ კომისიას—ექიმ ცინცაძის ხელმძღვანელობით, ქალაქის თავმა განსაკუთრებული წერილით სთხოვა მილიციის უფროსს, როშ ის სამსახურიდან ნუ გადადგება „რადგანაც მთავრობის ყოველმა მოხელემ და განსაკუთრებით კი უფროსებმა მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნა ანუ საყვედური უსიტყოთ და სრული მორჩილებით უნდა მიიღონ“.

გადამსახლებელი კომისია,

გადამსახლებელი კომისია განაგრძობს მუშაობას. რამდენიმე პარტია გადასასახლებელ პირებისა უკვე გაიგზავნა ქალაქიდან, ზოგიერთები თავისით სტოვებენ ქალაქს თანახმათ კანონისა, ასე, რომ მოსალოდნელია რამოდენიმე კვირის მუშაობის შემდეგ ქალაქი გაიწმინდოს უსაქმო ელემენტებისგან.

ქალაქის საავთომყოფოების რევიზია.

ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია ამ ჟამათ აწარმოებს ქალაქის საავთომყოფოების რევიზიას, რომელიც ჯერ არ დასრულებულა და საბოლოოთ არ არის მათი მუშაობის შედეგი გამორკვეული, როგორც დღემდის გამოირკვა ზოგიერთ ადგილას ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი, რაიც უფრო დაწვრილებით ამ დღეებში გამოაშკარავდება.

სახალხო გვარდიის პარუმეო

მისალმება

არა ჩვეულებრივი მრავალრიცხოვანი მიტინგი ჩოხატაურის რაიონის მოქალაქეთა უგზავნის რა გულწრფელ სალამს ჩვენს სიამაყე სხალხო გვარდიას, ღრმადა სწამს რომ ის მომავალშიაც ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას საკეთილდღეოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა და მისი დემოკრატიისა.

მიტინგის თავმჯდომარე **აფ. ცინცაძე.**

მილოცვები

მუშათა დეპუტატების საბჭოს ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „სახალხო გვარდიის ორი წლის იუბილეს დღესასწაულის გამო გულწრფელად მოგესალმებით მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომლის წიაღიდან წარმოიშვა ჩვენი სახელოვანი სახალხო გვარდია. გისურვებთ დღეგრძელობას. ვაშა თქვენს გამჭრიახობას და პატრიოტიზმს, რომ ეგრე მედგრად მიდიხართ იმ გზით, რომელმაც უნდა მიგვაღწევინონ მიზანს. სასოებით ვიხსენიებთ თქვენ წრიდან დაღუპულ ამხანაგებს. ვაშა თქვენს მოღვაწეობას.

ახალციხე-ახალქალაქის რაზმის უფროსი

გენ. გაშაკიძე

სატარიფო პალატაში.

ტარიფი არსებული ხელფასისა ტყვიბულის ქვა-ნახშირის მუშებისათვის.

მუშები კარიერზე.

მუშა არა სრულ წლოვანი 16 წლამდე იღებს დღიურად 33 მ., მუშა არა სრულ წლოვანი 16—18 წლამდე 41 მ., უფროსი მუშა 1 კატეგორიისა 55 მ., უმფროსი მუშა 2 კატეგორიისა 52 მ., ამფეთქებელი (ბაკლადჩიკები) 50 მ., ლიანდაგის შემკეთებელნი 50 მ., შავი მუშები 48 მ.

მაღაროებში მომუშავენი.

შავი მუშები იღებენ დღიურად 52 მ., დამმაგრებელნი (მეპიჯეე) 1 კატეგორიისა (ხარისხისა) 58 მ., დამმაგრებელნი (მეპიჯეე 2 კატეგორიისა 54 მ., უფროსი მუშები 58 მ., მუშები კარიერზე 48 მ.

მუშები მიმშველი ცეხებისა.

კოჩეგარი იღებს დღეში 51 მ., მემანქანე (მანქ. ზეთის ჩამსხმელი) 51 მ., მეჭედელი 1 კატეგორიისა 62 მ., მეჭედელი 2 კატეგორიისა 55 მ., ზეინკალი 1 კატეგორიისა 62 მ., ზეინკალი 2 კატეგორიისა 55 მ., მებუხრეები, კალატოზები და მლესავები 1 კატეგორიისა 64 მ. მებუხრეები, კალატოზები და მლესავები 2 კატეგორიისა 55 მ., დურგლები 1 კატეგორიისა 62 მ., დურგლები 2 კატეგორიისა 55 მ.

საკირეს ამშენებლები და კირის ექსპლოატაციის მუშები.

სპეციალისტი მუშები იღებენ დღეში 55 მ., შავი მუშები 48 მ., შავი მუშები 16 წლამდე 33 მ., შავი მუშები 18 წლამდე 41 მ., კალატოზები 64 მ., კირის დამწველნი (მოხელენი) 88 მ.

ტარიფი არსებული ჯამაგირისა ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში მოსამსახურეთათვის.

ბუჰალტერიის ჯამაგირი თვიურად 2000 მ., ბუჰალტერიის თანაშემწის 1700 მ., კანტორაში მომუშავის 1400 მ., მოლარე არტელის 1850 მ., გამგე სამასალო და სამეურნეო განყოფილებისა 1600 მ., მისი თანაშემწის 1300 მ., სასურსათო განყოფილების გამგის 1960 მ., მოანგარიშის 1550 მ., მომუშავეთა აღმწერის (მეტაბელე) 1550 მ., დარაჯი კანტორისა 1200 მ., დარაჯი „სასტუმრო ოთახისა“ 1200 მ., მებაღე 1200 მ., მეტელეფონე 950 მან

საავადმყოფო.

ექიმის ჯამაგირი თვიურად 3500 მ., ფერშალი 1900 მ., პროვიზორი 2250 მ., ავადმყოფების მომვლელი ქალი 1200 მ., მრეცხავი 1200 მ., მზარეული 1200 მ., მეაბანოვე 1300 მ., მსახური (დარაჯი) 1200 მ.

მასალების საწყობი.

საწყობის გამგის ჯამაგირი თვიურად 1650 მ., საწყობის გამგის თანაშემწე 1200 მ., დარაჯი 1200 მ.

საჯინიბო.

უფროსი ჟოკეიბეს ჯამაგირი თვიურად 1200 მ., მეჯინიბე 1150 მ., მეურმე 1200 მ., გზის ოსტატი 1400 მ., მემანქანე (მექანიკი) 2000 მ., მემანქანე 1600 მ., უფროსი მჭედელი 1850 მ., მანქანის ფეჩის გამხურებელი (კოჩეგარი) 1450 მ., დარაჯი 1200 მ.

ნახშირის სარჩევი.

ზეინკალის ჯამაგირი თვიურად 1600 მ., დარაჯი 1200 მ.

დურგლების სახელოსნო.

უფროსი დურგალის ჯამაგირი თვირად 2000 მ., მუშათა სადგომების მეთვალყურე 1200 მან.

სატვირთავი სადგური.

სადგურის მეთვალყურეს თვიური ჯამაგირი 2000 მ., დარაჯი 1200 მ., დრეზინის წამყვანი 1200 მ.

კარიერი.

უფროსი მეთვალყურეს (ათის თავი) თვიური ჯამაგირი 2000 მ., შემომწმებელი (კონტროლიორი) 1950 მ., შემომწმებელი მაღაროსი 1550 მ., უფროსი მეთვალყურე (ათის თავი) 2000 მ., მეთვალყურე 1850 მ.

სადგური ტყვიბული.

მწონავი თვიური ჯამაგირი 1600 მ., დარაჯი 1200 მ., ფოსტის დამტარებელი 1200 მ. დარაჯი 1200 მ.

ახაფეთქებელი მასალის საწყობი.

დარაჯის თვიური ჯამაგირი 1200 მ.

მილიცია.

კომისარის თვიური ჯამაგირი 1850 მ., მილიციონერი 1200 მ.

ახალი მაღაროები.

შტეიგერის თვიური ჯამაგირი 2200 მ., სამეურნეო განყოფილების გამგე 1600 მ., მასალების საწყობის გამგე 1450 მ., მეთვალყურე (ათის თავი) 1850 მ., მეტელეფონე 950 მეჯინიბე რკინის გზაზე 1200 მ., მეჯინიბე 1200 მ., დრეზინის წამყვანი 1200 მ.

ოკოლოდკა.

ფერშალის თვიური ჯამაგირი 1900 მ., დარაჯი 1200 მ.

ტარიფი დამტკიცებულია სატარიფო პალატის მიერ 1919 წ. 13 ნოემბერს. ძალაში შედის 1919 წ. 1 ნოემბრიდან, სატარიფო პალატის ხელ-ახალ განხილვამდე.

ზემოხსენებული ტარიფები განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამა წლის 13 ნოემბრის სხდომაზე და დაადგინა:

„დამტკიცდეს ამა წლის 1 ნოემბრიდან, ამა წლის 13 ნოემბერს სატარიფო პალატის მიერ დამტკიცებული ტარიფი ხელფასისა ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების მოსამსახურეთათვის“.

მუნიციპალური ცხოვრება.

გორის ქალაქის საბჭოში.

საბჭომ 21 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა: მიღებულ იქნეს ქალაქის გამგეობის მიერ წარმოდგენილი მოხსენება სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის გაწერის შესახებ საერთო ჯამით 3,006,200 მან. და ამ თანხიდან დაიხარჯება:

1) ჭაობების ამოსაშრობლად 30,000 მ., 2) სანიტარულ საასენიზაციო ტრანსპორტის მოსაწყობად 609,478 მან., 3) წყალსადენის მოსაწესრიგებლად 500,000 მან., 4) სასაკლაოს ასაშენებლად 27,000 მან., 5) აბანოს 528,000 მან., 6) საყინულეს ასაშენებლად 58 ათასი მან., 7) საავადმყოფოს შესაკეთებლად 50,000 მან., 8) სასაფლაოს გზის შესაკეთებლად 370,000 მან., 9) სენთან და სნეულებასთან ბრძოლაზე დახარჯულ თანხების ასანაზღაურებლად და საავადმყოფოების შესანახად წლის ბოლომდე 320,000 მან.

ეს ფული უნდა გადახდეს: 1) გორის ქართველ ვაჭარ მრეწველთა კავშირს 10,000 მან., 2) კლუბს 25,000 მან., 3) მებაღეებს თითოს 1000 მან., 4) მექანიკურ სახელოსნოებს თითოს 2000 მან., 5) თვითეულ მხატვარს 500 მ. და 6) თვითეულ სამლვდელო პირს 200 მ.

გაუქმებულ იქნეს ქალაქის სანიტარულ ზედამხედველის თანამდებობა 1 ოქტომბრიდან ამა წლ.

დახურულ იქნეს ქალაქის გადამდებ სნიანთა საავადმყოფო 4 სექტემბრიდან ა. წ.

მოხდენილ იქნეს გორში რეგისტრაცია ყველა გასაქირავებელ ბინებისა. ამასთანავე როგორც სახლის პატრონი, ისე დგმური, მოვალენი არიან, განთავისუფლდება თუ არა ბინა, იმავე ან მეორე დღეს დაუყონებლივ აცნობონ გორის ბინათა მომრიგებელ კომერას: პირველმა რომ მის სახლში განთავისუფლდა ბინა და

მეორე ის, რომ მან გაანთავისუფლა ბინაამა და ამ სახლში. გარდა ამისა, ყველა სახლის პატრონი, ვისაც კი აქვს ამ ჟამად გასაქირავებელი ბინა, მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ იმავე კომერას.

ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, არავის არა აქვს უფლება, ბინათა მომრიგებელ კომერის ნებადაურთველად დაიქირაოს სადმე თავისუფალი ბინა, ან გადასცეს აწ დაჭერილი ბინა, ურთიერთ შეთანხმებით სხვას.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაჯარიმებულ იქნენ 1000 მახეთამდე.

ქალაქის გამგეობიან მიერ წარმოდგენილი ნიხრი დამტკიცებულ იქნეს. ეს ნიხრი სავალდებულო არ არის სოფლებიდან შემოსულ საქონელზე. ამასთანავე, ნიხრის დამრღვევი გამყიდველი, სამართალში იქნეს მიცემული სპეკულიაციასთან საბრძოლველ კანონის მიხედვით.

ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთ და საბჭოს ხმოსანთ ეძლიოთ წამლები ქალაქის აფთიაქიდან თვითღირებულების ფასის გადახდით (Себѣстоимость).

ყოველი ვაჭარი და სავაჭრო დაწესებულება მოვალეა ყოველ გასაყიდ საქონელზე, რაც კი დუქანში და დაწესებულებაშია (დანიხრულზე თუ დაუნიხრავზე, ფანჯრებში იქნება გამოფენილი თუ უფაზებზე ეწყობა) აღნიშნოს საქონლის ფასი, პატარა ბარათების გამოფენით.

გადიდებულ იქნეს ქალაქის მილიციის შტატი ერთი უფროსი და ცხრა უმცროსი მილიციელებით.

დაევალოს ქალაქის გამგეობას გამოიწეროს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანის ბიუსტები, იმდენი, რამდენსაც გამგეობა დაინახავს საჭიროდ.

„რენსკოვოი პოგრებზე" დაწესებულ იქნეს წლიური გადასახადი ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ 2000 მანეთი.

გორის I უბნის საშემოსავლო გადასახადების საკრებულოს წევრები არჩეულ იქნენ: 1) გ. ზ. იასამანოვი, 2) ზ. დ. ქუტიაშვილი, 3) ა. ს. ჩუტკერაშვილი, 4) ნ. ლ. ქერეპაშვილი; მათ კანდიდატებათ: 1) ნ. ა. თუმანიშვილი, 2) გ. ა. მურალოვი.

—

— ქუთაისის ქალაქის გამგეობა ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებების (სკოლების, ბიბლიოთეკის, საავათმყოფოს და სხ..) საჭიროებისათვის საღორიის ტყეში შეშის დასამზადებლათ მოიჯარადრეებს პირობით შეეკრა. მოიჯარადრეები შეშის დამზადებას უკვე შეუდგნენ.

—ქალაქის საჭიროებისათვის ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ სამეგრელოდან ოთხი ვაგონი სიმინდი მიიღო.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი ნიკოლოზ საყვარელიძე სიმინდის შესაძენათ კახეთში გაემგზავრა.

ქალაქში ამ ბოლო დროს საშინლათ მოიკიდა ფეხი ყვავილმა. ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის ექიმმა ვალერიანე ლორთქიფანიძემ ქალაქში ზემო-აღნიშნული სენის გავრცელების გამო მოქალაქეებს მოწოდებით მიმართა. თავის მოწოდებაში ექიმი წინადადებას აძლევს მოქალაქეებს ყვავილის ასაცრელათ მიაშურონ ქალაქის სამკურნალოს დაჩქარებით სადაც ყველა მოქალაქეს ყვავილს უფასოთ აუცრიან. ექიმი ლორთქიფანიძე აგრეთვე წინადადებას აძლევს ქალაქის ყველა სასწავლებლებს თავიანთი წარმომადგენელი გამოგზავნონ ქალაქის თვითმმაროველობის დარბაზში მოსალაპარაკებლათ სასწავლებლებში ყვავილის აცრის საქმის მოგვარებაზე.

ერ ო ბ ა.

ანკეტა.

საერობო სტატისტიკური კურსების ლექტორთა საბჭომ მოახდინა მსმენელების ანკეტა, რომლითაც შემდეგი გამოირკვა: 84 მსმენელიდან, რომლებიც კურსებზე ირიცხება უპასუხა 73, აქედან არის მამაკაცი 60, ქალი 13. საქართველოს მცხოვრები 63, ამიერ-კავკასიის სხვა მხარის 8, რუსეთის 1. ეროვნებით ქართველი-60, რუსი 5, სომეხი 5, ებრაელი 1, ოსი 1. საქართველოს მოქალაქეთ თავს სთვლის 64, რუსეთის 4, სომხეთის 1. ამ საკითხზე არ უპასუხა 4. ცოლიანებია 25, უცოლონი 48. განათლების ცენზი: 7 დაბალ და საშუალო 4 კლასიანები. მოსწავლენი მაღალ კლასებში საშუალო სასწავლებელში, მაგრამ კურს დამთავრებულნი 11. საშუალო სასწავლებელ დაუმთავრებულნი 14, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლენი 24, უმაღლეს სასწავლებელ გათავებულნი 3. სპეციალური ცოდნით 14. პროფესიით მოწაფე 16, ბუხჰალტერი ტ კანტორის მოხელე 11. კანცელარიის მოხელე 22, მასწავლებელი 7, უმუშევარი (მოწაფეების გარდა) 14, სხვა პირები 3. სტატისტიკური სტაჟი აქვთ 6 თვემდე 7, 12-5, წელზე მეტის 5, გამოცდები ჩააბარა 4. სტაჟი არ აქვთ სრულიად 52. კურსებზე წარმოდგენილნი არიან ერობებიდან: 19, ამათში 4 ქალი, ქალაქის თვითმართველობის მიერ 4, ცენტრ. სტატ. კომიტეტის 2, სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ 12, კოოპერატივიდგან 2, ქართულ საქველმოქმედო საზ. 1. კერძო დაწესებულებიდგან 33.

პასარა შენიშვნები.

ჩვენი მეურნეობა.

ერთმა მოსაუბრემ ამას წინათ ასე დაასურათა ჩვენი მდგომარეობა: რამდენათ ჩვენი ხალხი პოლიტიკური შეგნებით მაღლა სდგას, იმდენათ არარაობას წარმოვადგენთ ეკონომიურადო.

და განა ნათქვამის თვალსაჩინოსურათს არ წარმოადგენს ჩვენი ჩვეყანა? აბა, რით შეგვიძლია ჩვენ გავაკვირვოთ ის ჩვენი წინაპრები, სასაწაული რომ მოხდეს და აღსდგნენ მკვდრეთით?

ჩვენი სოფელი მათთვის თითქმის იგივე იქნება, რაც ამ ასი—ორასი წლის წინად იყო. მე შენ გეტავი,—ჩვენი თოხი, ბარი, გინდ ნიჩაბი მათთვის ახალი რამ იქნება! სახლებს ისინიც ხომ ისლით ან ჩალით ხურავდნენ...

ერთი მოვლენა იქნება მათთვის ახალი ამბავი —მაშინ ცოტა შრომით უფრო არხეინ,უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდნენ, ახლა კი, ხალხი ბევრს მუშაობს, წელებზე ფეხს იდგამს და გაჭირვებულათ ცხოვრობს...

აღარ იძლევა ბუნება მზა-მზარეულათ ძველებურათ ყველაფერს, შრომას კი ძველებურათ ვეწევით... და ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შრომასაც ჩვენში ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია მოქალაქეობა; შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ბევრისთვის შრომა დღესაც კი სასირცხო საქმედ ითვლება.

ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვსო, გვეუბნებიან. ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ გაჟღენთილია თავად-აზნაურული სულისკვეთებით. შეიძლება ესეც მართალია მაგრამ თვით ფაქტი უდავოა. შრომამ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა მოქალაქის სრული უფლება.

განა ცოტას შევხვდებით სოფლად ისეთებს, რომელთაც ხვნა-თესვა რაღაც დამამცირებელ საქმედ მიაჩნია? ბოსტანს ხომ ჩვენებური სოფელი მამაკაცი იშვიათად დაიმუშავებს ეს ქალების საქმეაო. შეხვდებით ისეთებსაც, რომლებიც სხვა საოჯახო საქმეებსაც არ კადრულობენ,—როგორიცაა მაგალითად წისქვილში ზურგით საფქვავის ჩატანა და სხ. შინაური პირუტყვის, ფრინველის მოშენებაზე, ჯიშის გაუბჯობესებაზე ხომ არავინ ფიქრობს

მამაკაცების უმთავრესი საზრუნავი საგანია —დასავლეთ საქართველოში მჭადი, აღმოსავლეთში,—პური. შრომობს, სიმწრის ოფლსა ღვრის ხალხი და ამავე დროს ვერ გამძღარა ვერც პურით, ვერც მჭადით. ცდილობს იმუშაოს ბევრი და ფიქრობს იმაზე, რომ რაიმე ნაირათ ცოტა შესჭამოს... მდგომარეობა შესაბრალისია. და განა არ უნდა ვიმეცადინოთ, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს?

ჩვენ, გვიყვარს ლაპარაკი განათლებული ქვეყნების შესახებ, ხშირათ მათ გვერდით დასაჯდომათაც ვიწევთ და ამავე დროს ფიქრადაც არ მოგვდის, თუ როგორ გახდნენ ეს ქვეყნები განათლებულნი.

შრომა, შრომა და შრომა, აი რა არის ამ ქვეყნების განათლების, კულტურის დაწინაურების წყარო. შრომა გაუმჯობესებული იარაღით ხელში, შრომა იარაღის, ჯიშის გასაუმჯობესებლათ მიმართული.

ბევრი რამ ისწავლა ჩვენმა ხალხმა მოწინავე ქვეყნებიდან,მაგრამ ხომ შეგვეძლო სახლშიც თვითონ გავსცნობოდით ამასვე? წერა-კითხვის მცოდნე ხალხი ბლომათ არის სოფლად, მაგრამ ერთხელ გატკეპნილ გზას ვერ მოვშორებივართ. არ არის ადვილი ამ გზით სიარული, მაგრამ მაინც არ ვიშლით ჯიუტობას...

რას აკეთებენ სოფლად მასწავლებლები, მღვდლები, მოინტელიგენტო თუ ნახეყრად ინტელიგენტი ხალხი? განა მათ ძალა არ შესწევთ ხალხს აუხსნან, თუ როგორ არის მეურნეობა, ყოფა-ცხოვრება მოწინავე ქვეყნებში, რის მიცემა შეუძლია ჩვენს მიწა-წყალს? ყველაფერი ეს ადვილი საქმეა, რომ დაუდევრობის მორევში არ ვიყოთ ჩაფლული!..

ამერიკაში, თურმე არსებობს ახალ გაზრდა მეურნეთა კავშირი. არსდება პატარა ვაჟებისა და ქალებისათვის კლუბები, სადაც მათ იმ ჰასაკში, როცა მხოლოდ სათამაშოებზე ფიქრობენ, უნერგავენ იმ აზრს, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს მათი პირადი შრომა ეკონომიური წარმატების საქმეში.

ცალ-ცალკეა მოწყობილი კართოფილის, ჭარხლის მომყვანთა, ღორების მომშენებელთა თუ სხვა კლუბები, სადაც შესაფერ ფიზიკურ შრომას ეწევიან პატარეები...

რა კარგი იქნებოდა, რომ ამერიკის ბავშვების მაგალითს ჩვენებური დიდები მაინც მიჰბაძავდენ.

მაშინ აღარ გვექნება თვალი კანადისაკენ, საიდანაც მოველით პურს. და განა მარტო პურს შევიძენთ ასეთი შრომით და მეცადინეობით? ყველაფერი საკუთარი გვექნება და აი, სწორედ მაშინ ვიქნებით ნამდვილი დამოუკიდებელი!..

შინაური.

უცხოეთი

(საქართვ. დეპ. სააგ.).

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. დასავლეთ დვინაზე, დესნას რაიონში მტერი შეეცადა ჭდასავლეთ მდინარეზე გადმოსვლას, მაგრამ უკუვაგდეთ. მოზირის და ვოლინის ნოვგოროდის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. კრემენჩუგის მიმართულებით, ლოხვიცის სამხრეთით 25 ვერსზე, ჩვენ სნიატინი ავიღეთ. პოლტავის აღების დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 5 ოთქმავალი, 150 ვაგონი და სხვა მრავალი ქონება. სადგ. კოლომაკინთან ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი. ხარკოვის რაიონში, სადგ. მერეფოს დასავლეთით, მტერი იერიშებს აწარმოებდა, მაგრამ უშედეგოთ. დამატებითი ცნობებით ხარკოვის დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 350 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 10 ტყვიის მფრქვეველი და სხვა ქონება. კუპიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს.

კუპიანსკის ჩრდილოეთით 20 ვერსზე სოფლები ავიღეთ. მიეროვის მიმართულებით მდ. კალიტის სამხრეთით 10 ვერსზე, ჩვენ სად. რაინოვკაზი ავიღეთ. ბოგუჩარის რაიონში გოლიეკაზე მტრის 3 დივის იერიშებმა უშედეგოთ ჩაიარა. მტერი უკუ ვაქციეთ. 9 სხვა და სხვა პოლკიდან მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ამ ჟამად ამ რაიონში ჩვენი ჯარი ბოგოჩარზე შეტევას მხნეთ განაგრძობს. სემიპალატინის რაიონში სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მტრის დევნა გრძელდება. ნოვო-ნიკოლაევის რაიონში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. დამატებითი ცნობებით სადგ. დუპლიანსკოეზე ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 20 ზარბაზანი, 4 ვაგონი ყუმბარა.

მოსკოვი, დეკ. 14. «პრავდა» ანტანტის პოზიციის გამო ჩვენთან ზავის საკითხის შესახებ სწერს: „ისინი არაფერს არ კარგავენ, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის. თუ ჩვენი მტრები ეხლავე ვერ სწყვეტენ აღიარონ ეს მხოლოთ იმიტომ, რომ მათ ძლიერ კარგად იციან, რომ საბჭოთა რუსეთთან ზავს არ მისცეს შეუძლია მათ შინ სამოქალაქო ზავი.

მოსკოვი. გერმანიის საბჭოთა ორგანოს ცნობით ბოლშევიკური მოძრაობა მოედო სამხრეთ ამერიკას განსაკუთრებით არგენტინას, ჩილის და პერუს ბუენოს-აირესში უკუდურეს მემარცხენე სოციალისტებმა დაარსეს საკუთარი ორგანო „ვანგარდი": სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები სავსეა სოციალისტური ლიტერატურით, რომელიც გაზეთების ცნობით მომზადებულია ბარცელონაში.

ფრანგული პრესა.

მატენის ცნობით ლონდონის კონფერენცია ბრწყინვალე შედეგებს იძლევა. ჯუშინ კლემანსომ განაცხადა, რომ იგი სავსებით დაკმაყოფილებულია ზოგიერთ საკითხის გადაჭრით, მაგალ. სამხედრო ფინანსიურ, რუსეთისა და ოსმალეთის პრობლემათა გადაჭრით. სარწმუნოთ სთვლიან, რომ შეერთებული შტატები თუ ვერსალის ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის ურთიერთ სამხედრო თავდაცვის ხელშეკრულებას მაინც დაადასტურებენო. ფიქრობენ სანამ იტალიასთან ფართო ხელშეკრულებას შეკრავენ—ინგლისი და საფრანგეთი ფიუმის ავანტიურის საკითხს დაამთავრებენო. „დეილი ტელეგრაფი" კლემანსოს დარბაზობას საზავო კონფერენციის გაგრძელებათ სთვლის.

პარიზში ქალაქის საბჭოს სხდომაზე გადასწყვიტეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში იდღესასწაულონ ელზას-ლორენის დეპუტატების ჩამოსვლა. დღესასწაული დანიშნულია 27 დეკემბრის ნაშუადღევის 3 საათისთვის ქალაქის საბჭოს სხდომის დარბაზში.

იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი შალოია ლონდონიდან პარიზში ჩამოვიდა აქედან იგი რომს გაეგზავრება.

საფრანგეთის პრესის წარმომადგენლები აღნიშნავენ იმ ერთსულოვან და შეთანხმებულ მუშაობას, რომელიც ლონდონში სწარმოებდა. ლოიდ ჯორჯი ორ შაბათს ან სამშაბათს, ანდა პალატაში მოხსენებას გაკეთებს კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. საფრანგეთის მთავრობა თავის მხრივ გააკეთებს კერძო ხასიათის მოხსენებას, რომელიც ეკონომიურ საკითხებს შეეხება და რომელიც ხალხს დღეს განსაკუთრებით აინტერესებს.

გერმანიის მთავრობის მოკავშირეთა უკანასკნელ ნოტის პასუხი მიიღო პარიზში მყოფმა გერმანიის დელეგაციამ, რადგანაც რამდენიმე ხანი დასჭირდება მის გადათარგმნას, ამიტომ ნოტა საზავო კონფერენციის სამდივნოში გადაცემული იქნება მხოლოდ ორშაბათ დილით.

სხვა და სხვა.

◆ მომარაგების სამინისტროს შემოკლებული მისამართია: „მ ო მ ს ა მ ი ნ".

◆ სამხედრო მინისტრის განკარგულებით თანამდებობიდან გალაყენებულ იქნა აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მთელი შემადგენლობა. მათ მაგიერ თავმჯდომარეთ გამგეობისა დაინიშნა გენერალი ელენტი, წევრებათ დ. ქარცივაძე, გ. ბახტაძე და სხვები, ხოლო ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეთ ბ-ნი ყოფშიძე.

◆ დაბრუნდა პროვინციაში მოგზაურობიდან და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას დამფუძნელებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

◆ გურიაში ამ ჟამად ადგილობრივი კოოპერატივები ყიდულობენ დიდძალ თხილს იტალიაში გასაზიდათ. ფუთი თხილი ადგილობრივ ფასობს 250—300 მანეთად.

◆ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება აპირებს ასანთის ქარხნის მოწყობას.

◆ წ. კ. საზოგადოებას ნოემბრის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია: 369,692 მან. 07 კაპ. გასავალი 348,166 მან. 10 კაპ. ბალანსი 1 დეკემ. 2,538,734 მან. 98 კაპ.

◆ წ. კ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გამოსცეს ი. გომელაურის „ქართველი მწერლები"-ს პირველი ნაწილი.

ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების დაარსება.

ამ დღეებში ტფილისის სამაზრო ერობის შენობაში მოხდა ჭლექთან მებრძოლი საქართველოს საზოგადოების პირველი კრება, ექ. ვ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით. ექ. ი. აბაკელიამ წაიკითხა მოხსენება ჭლექის მძინვარების შესახებ სხვა და სხვა ქვეყნებში და კერძოთ საქართველოში. მომხსენებელმა დაასახელა ის ზომები და საშუალებანი, რომელთა წყალობითაც საზოგადოება შეებრძოლება ჭლექს.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდების პროექტი.

დასასრულ კრებამ აირჩი 11 კაცისგან შემდგარი გამგეობა, სადაც შევიდენ: პროფ. ალადაშვილი, ექ-ნი ი. აბაკელია, ალ. ბალარჯიშვილი, ი. გოპაძე, მ. ზანდუკელი, ვ. ღამბაშიძე, ზ. მაისურაძე, ი. ცინცაძე, ს. ჯაფარიძე და ბეითალი ლაშხური. კანდიდატებათ: ექ. ნ. მელიქიშვილი და ე. მგელაძე.

სარევიზიო კომისიაში: ექ. ი. ელიაშვილი, პ. კიკალეიშვილი და კ. მეუნარგია.

გამგეობის პირველ სხდომაზე თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ექ. ვ. ღამბაშიძე, ამხანაგათ ი. აბაკელია.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრასთან იანვრიდან არსდება ორი ასისტენტის თანამდებობა. კათედრის წარმომადგენელი პროფ. ი. ბერიტაშვილი აცხადებს, რომ ამ თანამდებობის დაჭერა შეუძლიანთ კონკურსის საშუალებით ყველა იმ ექიმთ და ბუნების მეტყველთ, რომელთაც უმუშავნიათ ფიზიოლოგიის დარგში ან სურვილი და შეძლება აქვთ ამ დარგში მუშაობისა. ასისტენტის სასყიდელი უდრის 4000 მან. თვეში. მსურველმა უნდა წარმოადგინოს curriculum vitae და პირადად მოელაპარაკოს პროფესორს.

იგივე პროფ. ი. **ბერიტაშვილი** მიმართავს თხოვნით ყველა მათ, ვისაც მოეპოვებათ რაიმე ფიზიოლოგიური იარაღი, მიჰყიდოს იგი ფიზიოლოგიის ლაბორატორიას ან ათხოვონ დროებით სანამ საზღვარ გარეთიდან მოვიდოდეს უკვე გამოწერილი იარაღები. საჭიროა, მაგ. დიუ **ბუა რეიმონის** ინდუკტორიუმები, გამაღიზიანებელი ელექტრონები, კიმოგრაფები, სიგმოგრაფები, პნევმოგრაფები,

ბლეტის მოგრაფები, სპეკტროსკოპები, მიჩეის კაპსულები და საერთოდ ყველაფერი, რაც კი ფიზიოლოგიიის პრაკტიკაში იხმარება.

წინადადებანი—წერილობით სახელმწიფო უნივერსიტეტის მისამართით. წერილში აღნიშნული უნდა იქმნეს, სად და როდის შეიძლება იარაღის დათვალიერება.

მილიციაში.

ქურდობა.

14 დეკემბერს, ახჩისხატის ქუჩაზე მცხოვრებ სალომე მახნიაშვილის სახლში შეცვენდენ უცნობი პირები საოჯახო ნივთების წასართმევად. მილიციამ დროზე მიიღო ზომები და ქურდები იქვე დააპატიმრა.

—

14 დეკემბერს, პეტრე დიდის ქუჩაზე № 24, მარია ანჯაფარიძეს მოჰპარეს: ორი პალტო, ნაბადი და ქუდები სტუმრების, ღირებული 25,000 მ.

მადლობა.

მილიციის უფროსმა მეშვიდე უბნის კომისარ გვალიას მადლობა გადაუხადა ენერგიულ სამსახურისთვის და მის რაიონში საქმის კარგათ დაყენებისათვის, რომელმაც ახლახან მთავრობის დიდძალ ქონების მომპარავი ქურდები აღმოაჩინა.

ბოროტ-მოქმედების აღმოსაჩენათ.

მილიციის უფროსი ყურადღებას აქცევს ბოროტ-მოქმედებათა შესახებ ცნობების თავის დროზე მიუწოდებლობას მილიციის სამმართველოში კომისრების მიერ და უბრძანებს მისდამი რწმუნებულ ყველა კომისრებს, რათა უფრო ფხიზლად მოექცენ მოვალეობას ბ ცნობები ბოროტ-მომქმედებათა შესახებ დაუყონებლივ აცნობონ სამმართველოს. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქში სხვა და სხვა საეჭვო პირების გამრავლებას, რომლებისაგან მოსალოდნელია სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებანი, ამისათვის უფროსი მილიციონერები ვალდებული არიან მალ-მალე დაათვალიერონ საყარაულო პუნქტები და გააფრთხილონ მილიციონერები, მეტი სიფხიზლით ადევნონ თვალ-ყური, საეჭვო პირებს და აცნობონ მათ შესახებ სადაც ჯერ არს დაუყონებლივ.

წერილი რედ. მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს: მიმდინარე წლის დამდეგს ხვარბეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის სასკოლო კომიტეტმა რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში მოწოდებით მიმართა სხვა და სხვა ნაცნობ პირებს, რომ მათ რაიმე სახით დახმარება აღმოეჩინათ აღნიშნულ სასწავლებლისთვის, რომელიც უკიდურეს ნივთიერ კრიზისს განიცდიდა. დღემდე მოწოდებაზე გამოეხმაურენ შემდეგი პირები, რომელთაც სასწავლებლის სასარგებლოთ შემოსწირეს:

ვანო დავითის ძე გოთუა 100 მან. იაგორ თიკანაძე 100 მ. ვანო დემეროვი 100 მ. სიმონ მიქატაძე 100 მ. სულ 400 მანეთი. კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის შემოწირველთ, ხოლო დანარჩენთ უმორჩილესათ სთხოვს მოწოდების ფურცლები უკან დაბრუნონ ყოველ შემთხვევაში.

სასკოლო კომიტეტის მონდობილობით სასწავლებლის გამგე **გ. წითლიძე.**

წესდება

საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა.

შენიშვნა 2: ბანკს უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში და საბჭოს მიერ დამტკიცებულ გამგეობის დადგენილებით დაიგიროოს საქონელი და ეს დაგირავებული საქონელი დასტოვოს დამგირავებელთან; ამ უკანასკნელს უნდა ჩაემოერთვას პირობა, რომელშიაც ზედმიწევნით უნდა იყოს აღნიშნული საქონლის რაოდენობა. საწყობის მდგომარეობა და ვალდებულება იმის შესახებ, რომ დამგირავებელი კისრულობს კანონით დაწესებულს პასუხის-მგებლობას დაგირავებულ საქონლის სისრულეზე. პირველათ განსაზღვრული დამგირავებლის განცხადებით და ბანკის დადასტურებით გირაოს შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ბანკის წერილობითი ნებართვით. (კრებ. კან. და მთავ. განკარ. 1914 წ. ნაწ. მეორე № 51, მუხ. 409.

გ) მიღება ფულისა იმ ვექსილებით და სხვა ვადიან საბუთებით და სარგებლიანი ქალალდებით, რომლებიც ბანკს აქვს გადაცემული.

დ) გადახდა ფულისა საქართველოს და საზღვარ-გარეთის იმ ქალაქებში, სადაც იმყოფება განყოფილება ბანკისა ან იმყოფებიან კომისიონერები ბანკისა, მესამე პირთა ან საზოგადოებათა ხარჯით, იმ პირობით კი, რომ გადასახდელი წინდაწინვე უზრუნველ-ყოფილი იყოს ნაღდი ფულით, რომელიც ირიცხება ბანკის სახელდახელო ანგარიშზე იმ პირისა, რომლის მაგივრათაც გასცა ბანკმა ან და ისეთი უდავო და სანდო გირაოთი, რომელსაც ბანკი იგირავებს სესხის მიცემის დროს ამა პარაგრაფის პუნ. „გ“-ში აღნიშნულ საფუძველით, ამასთანავე ასეთ სესხისთვის დადგენილ პირობათა დაცვით.

შენიშვნა: ამ მუხლში ჩამოთვლილი ფულის გადახდა განსაკუთრებულ პატივსადებ შემთხვევაში შეიძლება მიხდეს აღნიშნულ უზრუნველ-ყოფის უქონლათაც საბჭოს და გამგეობის მიერ ერთხმად მიღებულ დადგენილებით, რისთვისაც დაცული უნდა იქნეს ამ შემთხვევისათვის არსებული საბჭოს განსაკუთრებული ინსტრუქცია და პირობები, რომლებიც აღნიშნულია მე-19, განყ. 10 საკრედიტო წესდ (კანონ. კრებ. II ტ., ნაწ. 2, გამოც. 1919 წ.)

ე) ფულის გადაგზავნა ყველა ადგილებში, სადაც ბანკის განყოფილებები ან მისი კომისიონერები იმყოფებიან;

ვ) სყიდვა და გაყიდვა მესამე პირთა ანგარიშში ყოველგვარ სახელმწიფო სარგებლიანი ქალალდებისა, აქციებისა, ობლიგაციებისა და საგირავნო ფურცლებისა, რომელთა ტრიალი ნებადართულია საქართველოში;

ზ) სყიდვა და გაყიდვა საქონლისა კერძო პირთა, დაწესებულებათა და სავაჭრო სახლთა დავალებით და მათივე ანგარიშით წინდაწინ განსაზღვრულ საკომისიო ფასით (§ 16)—ისე კი, რომ ამ ყიდვაზე ბანკის მიერ დახარჯული ჯამი არ აღემატებოდეს მისი ძირითადი თანხის ერთ მეხუთედ ნაწილს; სია საქონლისა, რომლის სყიდვაც შეუძლიან ბანკს, უნდა დამტკიცებული იქნეს ბანკის საბჭოს მიერ;

ჰ) სყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშში და მინდობილობით ძვირფასი ლითონისა ზოდებათ და მოჭრილ ფულათ, ასიგნოვკებისა, რომლებითაც ოქროა მისაღები;

თ) გაცვლა ვექსილებისა, გადასაგზავნ ბარათებისა და კრედიტებისა იმ ადგილებში, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში და საზღვარ-გარეთ, ამ პარაგრაფის პუნ. „დ“ აღნიშნულ საფუძველზე;

ი) სყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშში და დავალებით შინაურ და საზღვარ-გარეთელ ტრატტის და შეპირებულ (პერევოდნი) ვექსილებისა;

კ) სყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშში სახელმწიფო სარგებლიანი ქალალდებისა, აქციებისა და ობლიგაციებისა, რომლებიც გამოცემულია მთავრობის გარანტიით; ჯამი ასეთ ოპერაციებზე დაბანდებული არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეხუთედ ნაწილს ბანკის ძირითად თანხისას;

ლ) სყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშში ობლიგაციებისა, რომლებიც გამოშვებული იქნება ერობების და ქალაქების მიერ და აგრეთვე კოოპერატიულ დაწესებულებათა პაიების და აქციების, რომლებიც მთავრობის გარანტიით არ იქნება გამოშვებული, მხოლოდ გამგეობის ერთხმივ დადგენილებით კი; ჯამი ასეთ ოპერაციებზე დაბანდებული არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ ნაწილს ბანკის ძირითად თანხისას;

მ) მიღება საკომისიოთ ხელის მოწერისა საერობო, საქალაქო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ სესხზედ, აქციებზე, ობლიგაციებზე და საგირავნო ფურცლებზე, რომლებიც გამოცემულია მთავრობის ნებართვით.

ნ) მიღება და შენახვა განსაზღვრულ ფასით ყოველგვარ სარგებლიან ქალალდების და სხვა ღირებულებებისა:

ა) მიღება ფულისა ანგარიშით (ვკლადი) უვადოთ, განსაზღვრულ ვადამდე, აგრეთვე სასახელდახელო ანგარიშზე იმ პირობით კი-რომ ბარათები ანაბარათ მიღებულ ფული, დასამოწმებლათ გაცემულ იქნეს მხოლოთ სახელობით და ამასთანავე არა ნაკლებ ას მანეთზე:

ო) გადაგირავება სახელმწიფო ბანკში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, დამგირავებელთა თანხმობით, გირაოთ მიღებულ სარგებლიან ქალალდებისა; გადაგირავების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს რაოდენობას სესხისას, რომელიც გაცემულია დასაგირავებელ სარგებლიან ქალალდების გირაოთი; გადაგირავება საქონლისა იმ პირობების დაცვით, რომლებიც დაწესებულია მუხ. 15, განყ. 10, საკრედიტო წესდების (კანონ. კრებ. ტ. II, ნაწ. 2, გამ. 1903 წ.);

პ) გაცემა სესხისა სოლო ვექსილით (ე. ი. ვექსილით, რომელზედაც უწერია ხელი მხოლოთ ვექსილის გამცემს). რომელიც უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მამულის და კოოპერატიულ სავაჭრო სამრეწველოთა გირავნობით თანახმად განსაკუთრებულ კანონით დადგენილ წესებისა.

ანგარიშგებანი

კონსტანტინე ვასილის ძე მორბედაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მილიციის სამმართველოდან აღებული უვადო პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—3

სოხუმის ნოტარიუს ოტტონ ფრანცის-ძე ზაგრაისკის სიკვდილის გამო, სოხუმის ოლქ სასამართლო ამით აცხადებს, რომ იმ პირთ რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვს მასთან, და რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება ზაგრაისკის მიერ წარმოდგენილ საწინდრიდან ნოტარიუსის თანამდებობაზე, უნდა განაცხადონ ამის შესახებ ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

231 1—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქ. სასამ. 1919 წ. ოქტომბრის 23-დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული შეტანილია კლუბი „ლეტუჩაია მიშ“.

0108 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლო ამით იწვევს პირთ, რომელთაც სურთ დაიჭირონ ქ. სოხუმის ნოტარიუსის თანამდებობა და რომლებიც უნდა აკმაყოფილებდენ პირობებს, აღნიშნულს ნოტ. ნაწ. დებ. მე-5 და 15მუხ. მათ განცხადებით უნდა მიმართონ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს. კანონით დაწესებული გამოცდა ასეთ პირთათვის დანიშნულია დეკემბრის 29 ს

231 1—1

აუქციონი

ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა შესდგება კვირას 1919 წ. დეკემბრის 21—ს, ლომბარდის ბინაზე (ლორის-მელიქოვის ქ., № 8). გაიყიდება ვადა გასული გირაოები, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ქვებს, ლითონის და სხვ. საგნებს შემდეგი №№—ით.

72774, 73126, 74429, 74566, 74805, 75099, 75788, 77177, 77946, 78594, 78595, 79144, 79165, 79241. 80220, 80438, 80602, 80811, 81094, 82172, 82296, 82437, 82545, 82699, 82701, 83042, 83043, 83044, 83046, 83225, 83260, 84282, 83288, 93321, 83364, 83472, 83480, 83482,

370 1—1

ჰოანეზ აბელიანი (არტისტი) აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი თავისი ბ ცოლშვილის, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

344 3—3

ვარლამ ილიას ძე ყიფიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა (ძანდატი) მიღებული სახალხო გვარდიის მეორე ვაგზლის რაიონის შტაბიდან 15|X|19 წ. № 525. მანდატი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

381 3—3

ელო მოსეს-ძე შიმშილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ცხინვალის სამართველოდან პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

374 3—3

კარაპეტ მიხეილის-ძე მერაბიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის საშუალო პოლიტეხნიკურ სასწავლებლიდან 15|IX|1919 წ. № 52 მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 372 3—3

ევგენი კოჩაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა აღებული სახელმწიფო თეატრიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

372 3—3

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აუწყებს ბ.ბ. აქციონერთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ 1920 წლის 1 იანვრამდე შემოტანილი არ იქნება აქციების ხვედრი ფული, თანახმად წესდების 20 მუხლისა, მყიდველთ ეკარგებათ უფლება აქციებზე და უკვე შეტანილი ფული, ხარჯების გამოკლებით დაუბრუნდებათ უკან. 3—2

დაკარგულია სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ნ. მშეიოლიშვილის მიერ აღებული მატრიკული № 12[illegible] მატრიკული გაუქმებულათ ჩაითვალოს. [illegible]

გრიგორი ნიკოლოზის ძე კეპულაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ქუთაისის კოოპერატივის დამხმარებელ საზოგადოების საწევრო წიგნაკი, ბალაჯარის სადგურის უფროსის კანცელარიიდან აღებული მოწმობა იმაში, რომ კეპულაძეს ერგებოდა ოთხი თვის დამატებითი ჯამაგირი, აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 341 3—2

გრიგოლ იოსების ძე ნემსაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) მოწმობა მიღებული დიდ ჯიხაიშის თემის ერობის გამგეობიდან 23 ოქტომბ. 1919 წ. № 103. 2) ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა მიღებული დიდ ჯიხაიშიდან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლიდან 14 აგვ. 1918 წ. № 95. და 3) ლათინური ენის გამოცდის ჩაბარების მოწმობა მიღებული მაჩაიძის კერძო გიმნაზიიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 353 3—3

დავით შეიხ იაკოფ ისაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთ წლიანი პასპორტი მიღებული 26 ნოემბ. 1919 წ. № 3083. ის პანიის ვიცე საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 352 3—3

იაკობ ზაიველის ძე ვეჩხაიზერი აცხადებს. რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული ს. კონსტანტინოვსკის სამართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 358 3—3

იოსებ ნიკოლოზის ძე ციბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ფარცხა-ნაყანების ერობიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 368 3—1

იაკინთე სამსონის ძე ჟღენტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 407 აღებული 1918 წ. ნოემბრის 13. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 228 3—3

გრიგოლ რაჟდენის ძე კახაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკურ უნივერსიტეტიდან № 220. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 340 3—3

კევორკ ალექსანდრეს ძე დავითიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დავთარი მისი სახლის, ლაზარევის ქ., № 48, 1919 წლ.

357 3—3

ყველა ადმინისტრაციის და სახალხო გვარდიის შტაბის საყურადღებოთ, სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიის შტაბი ამით აცხადებს გაუქმებულათ 1 ნოემბრამდე 1919 წ. მიცემულ პირადობის და იარაღის ტარების მოწმობებს. 224 3—3

ვალერიან ისაკის ძე ახვლედიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთ. ქართულ გიმნაზიიდან აღებული 8 კლასის გათავების მოწმობა 1910 წ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

373 3—2

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ტეოტოროს მიკირტიჩის ძე ზადაიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ზედაიანცის ქონებაზე, სამ. კან. მეათე ტ. I ნაწ. 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში.

ტფ. მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მელანია გიორგის ასულ ბარტყულაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბარლყულაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მეათე ტ. 1 ნ. 1241 მუხ. აღნ. ვადაში.

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა

მოწვეულია გამგეობის მიერ ამა წ. 27 დეკემბერს გამგეობის ბინაზე 10 საათ.

239 **გამგეობა.**

სადახლოს საბაჟო

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ 30 დეკემბერს 1919 წელს დილის ათ საათზე სადახლოს საბაჟოში (სადგური სალახლო) გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქონელი სახელდობრ: თამბაქო, პაპიროსები, პაპიროსის ქალალდები, ფართლეულობა, ქალის კაბები ჩითისა, კოჭის ძაფი, მომპასიე და სხვა და სხვა.

378 3—1

რედაქტორის მოვალ. დრ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი**